ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13
2020 წლის 24 ივლისი

ქ. ნინოწმინდა

„ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება **„ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“** ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №29 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 11/04/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.142.016206) და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე -16 მუხლის პირველი პუნქტის „ი.ა“ და „ი.დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. მე -16 მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირი (წარმომადგენლის სპეციალისტი):

ა) მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირი (წარმომადგენლის სპეციალისტი) არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურე, რომელიც თანამდებობაზე მიიღება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 81-ე მუხლის მეორე პუნქტით დადგენილი ვადით და თანამდებობიდან თავისუფლდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 82-ე მუხლის საფუძველზე. წარმომადგენლის სპეციალისტის უფლებამოსილებაა ხელი შეუწყოს წარმომადგენელს მერიის დებულების მე-15 მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებამოსილების შესრულებისას;

ბ) მერის წარმომადგენლის სპეციალისტები ანგარიშვალდებულნი არიან მერის და მერის წარმომადგენლის წინაშე.“.

3. მე-18 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18. მერიის პროფესიული საჯარო მოხელე, შრომითი ხელშეკრულებით და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.“.

4. მე -18 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირი, რომელიც პოლიტიკური თანამდებობის პირს ხელს უწყობს მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში დარგობრივი/სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების გაწევით ან/და ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით და რომელსაც არ უკავია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მოხელისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის გათვალისწინებული თანამდებობები და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი. “.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სუმბატ კიურეღიანი**